



რეგიონალური ტელევიზიების ახალი ამბების
მონიტორინგი
წინასაარჩევნო პერიოდში

პროექტი # S-12-155

საანგარიშო პერიოდი: 1 - 7 ოქტომბერი, 2012 წელი

პროექტის ხანგრძლივობა: 11 ივნისი-10 დეკემბერი, 2012
პროექტის ბიუჯეტი: 31 000 დოლარი

მონიტორინგის მეცხრე ეტაპის ძირითადი მიგნებებია:

- არჩევნების შედეგებიდან გამომდინარე, კოალიცია "ქართული ოცნების" და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის გარდა, საეთერო დრო მონიტორინგის სხვა სუბიექტებს თითქმის აღარ ეთმობათ;
- არჩევნების გაშუქებისას ჟურნალისტების ტექსტებში მკვეთრად შემცირდა მიკერძოებული ფრაზების გამოყენების ტენდენცია, რამაც მონიტორინგის სუბიექტების მიმართ ნეიტრალური ტონის მატება გამოიწვია;
- რეგიონული ტელევიზიები აქტიურად აშუქებდნენ ადგილობრივ საარჩევნო უბნებზე შექმნილ ვითარებას; არჩევნების დამკვირვებლებს საშუალება ეძლეოდათ საარჩევნო პროცესის მიმდინარეობაზე ესაუბრათ.

ანგარიში წარმოადგენს "ინტერნიუსი - საქართველოს" მონიტორინგის ჯგუფის მიერ 2012 წლის 1-7 ოქტომბრის მანძილზე ჩატარებული კვლევის შედეგებს. მედიის მონიტორინგი ხელს უწყობს მისი პროფესიული სტანდარტის ზრდას და დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი ჟურნალისტიკის განვითარებას. ჩვენი კვლევის მიზანია საქართველოს რეგიონალური ტელამაუწყებლების მთავარ საინფორმაციო გადაცემებზე დაკვირვებით გამოვავლინოთ მედიის მიერ წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქების მიმდინარეობა და ტენდენციები.

ანალიზი და მეთოდოლოგია

კვლევა განხორციელდა საქართველოს 20 რეგიონალურ ტელემაუწყებელზე: "25-ე არხი" (ქ. ბათუმი), "რიონი" (ქ. ქუთაისი), ქვემო ქართლის ტელე/რადიო კომპანია (ქ. რუსთავი), "ოდიში" (ქ. ზუგდიდი), "თანამგზავრი" (ქ. თელავი), "მე-9 არხი" (ქ. ახალციხე), "თრიალეთი" (ქ. გორი), "გურია" (ქ. ოზურგეთი), "იმერვიზია" (ჭიათურა), "არგო" (ქ. ზესტაფონი), "გურჯაანი" (ქ. გურჯაანი), "ბორჯომი" (ქ. ბორჯომი), მარნეული ტვ (ქ. მარნეული), "ლტვ" (ქ. ლაგოდეხი), "მე-12 არხი" (ქ. ბოლნისი), "მეგა ტვ" (ქ. ხონი), "ზარი" (ქ. სამტრედია), "მე-9 ტალღა" (ქ. ფოთი), "ქრონიკა" (ქ. დუშეთი), "ეგრისი" (ქ. სენაკი).

1-7 ოქტომბრის მანძილზე საინფორმაციო გადაცემები ჯერჯერობით ისევ არ ჰქონდათ ტელეკომპანია "ქრონიკას" (ქ. დუშეთი) და "ეგრისს" (ქ. სენაკი).

დაკვირვება მიმდინარეობდა რეგიონალური ტელემაუწყებლების სადამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებებზე ე.წ. “პრაიმ-ტაიმის” პერიოდში, როდესაც მაყურებელთა რაოდენობა პიკს აღწევს.

პროექტში გამოყენებული მეთოდოლოგია ეფუძნება რაოდენობრივ და თვისებრივ კვლევებს. რაოდენობრივი მონიტორინგი განსაზღვრავს რაოდენობრივ ინდიკატორებს, რომლებიც შეიძლება დაითვალოს და გაანალიზდეს. ხოლო თვისებრივი მონიტორინგი გამოიყენება მედიის საშუალებების მუშაობის ეფექტურობის შესაფასებლად ისეთ მაჩვენებლებთან მიმართებაში, როგორცაა ეთიკური ან პროფესიონალური სტანდარტები, რომელთა რაოდენობრივად გაზომვა რთულია. კერძოდ, ყურადღება ექცეოდა ინფორმაციის დამახინჯების, დაუბალანსებელი გაშუქების, ტენდენციურობის და ნებისმიერ ისეთ ფაქტს, რომელიც მნიშვნელოვანია ინფორმაციის ხარისხის წარმოსადგენად.

რაოდენობრივი მონაცემები მოიცავს ეთერში გასული იმ სიუჟეტების ქრონომეტრაჟს (წამი), რომლებიც ჩვენს მიერ წინასწარ შერჩეულ სუბიექტებს შესახებ მომზადდა ან სადაც ისინი ნახსენები იყვნენ.

დიაგრამებზე სუბიექტებისთვის დათმობილი დრო მოცემულია წამებში. თუ დიაგრამაზე რომელიმე პოლიტიკური პარტია, რომელიც მონიტორინგის სუბიექტს წარმოადგენს, არ არის წარმოდგენილი, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ პერიოდში ამა თუ იმ არხზე მას დრო საერთოდ არ დაეთმო.

პირდაპირი და ირიბი გაშუქება გვიჩვენებს, სიუჟეტში სუბიექტი თვითონ საუბრობს თუ მასზე საუბრობენ სხვები: ჟურნალისტი ან სხვა რესპონდენტები. დიაგრამებზე პირდაპირი და ირიბი გაშუქება მოცემულია პროცენტებში. 100 პროცენტად აღებულია თითოეული სუბიექტისთვის ამა თუ იმ არხზე დათმობილი დრო.

გაშუქების ტონი ენიჭება სუბიექტს მაშინ, როცა მასზე საუბრობენ ირიბად და ასევე მაშინ, როდესაც ის თვითონ საუბრობს თავის თავზე, სხვა სუბიექტებზე ან ზოგად საკითხებზე. დიაგრამებზე ნაჩვენებია ტონის სამი კატეგორია: პოზიტიური, ნეიტრალური და ნეგატიური. გაშუქების ტონი მოცემულია პროცენტებში. 100 პროცენტად აღებულია თითოეული სუბიექტისთვის ამ არხზე დათმობილი დრო.

რეგიონალური ტელევიზიების ახალი ამბების მონიტორინგი

საინფორმაციო გამოშვებებზე დაკვირვებისას ასევე ყურადღება ექცეოდა იმას, რომელ მოვლენებს აშუქებდნენ ტელეკომპანიები რეგიონალურს თუ ცენტრალურს.


თვისებრივი მონაცემების საფუძველზე მოხდება მედიის მუშაობის ეფექტურობის ეთიკური ან პროფესიული სტანდარტების დაცვის თვალსაზრისით შეფასება. თვისებრივი ნაწილი აერთიანებს ისეთ კომპონენტებს როგორცაა ბალანსი, ანუ რამდენად არის სიუჟეტებში წარმოდგენილი გაშუქებული საკითხის გარშემო რამდენიმე განსხვავებული მოსაზრება; სიზუსტე (არის თუ არა შეცდომები სახელწოდებებში, რიცხვებში, რესპონდენტების ვინაობაში), გამოყენებული ლექსიკა და ყველა იმ მნიშვნელოვან ასპექტს რომელიც არ იზომება რაოდენობრივად. ასევე ყურადღება ექცევა საინფორმაციოებში კადრებითა და მუსიკით მანიპულირების შემთხვევებს.

მონიტორინგის სუბიექტები არიან: პარლამენტი (სპიკერი, ვიცე-სპიკერები, პარლამენტის წევრები, კომიტეტები, აპარატი); პრეზიდენტი (პრეზიდენტის ადმინისტრაცია, მრჩეველები, პრეს-სპიკერი); მთავრობა (პრემიერ-მინისტრი, მინისტრები, მინისტრის მოადგილეები, გუბერნატორები); ხელისუფლება (სპეციფიკაციის გარეშე, ანუ როდესაც დაუკონკრეტებლად ახსენებენ); ადგილობრივი თვითმმართველობა (მერები, საკრებულოების და გამგეობების თავმჯდომარეები); ცენტრალური საარჩევნო კომისია; არჩევნების დამკვირვებლები; სახელმწიფო აუდიტის სამსახური (არჩევნების კონტექსტში); ამომრჩეველთა სიების დაზუსტების უზრუნველყოფის კომისია („სია“); ერთიანი ნაციონალური მოძრაობა; ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო; კოალიცია ქართული ოცნება; თავისუფალი დემოკრატები; ეროვნული ფორუმი; საქართველოს რესპუბლიკური პარტია; საქართველოს კონსერვატიული პარტია; ხალხის პარტია; საქართველოს გზა; თავისუფალი საქართველო; ახალი მემარჯვენეები; დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოსთვის; ეროვნულ-დემოკრატიული პარტია; ლეიბორისტული პარტია; მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს; საქართველოს დემოკრატიული პარტია; ქართული დასი; ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა; ევროპელი დემოკრატები; ამომრჩეველთა ლიგა; სახალხო კრება; ოპოზიცია (სპეციფიკაციის გარეშე, ანუ როდესაც დაუკონკრეტებლად ახსენებენ).


ეს სია საბოლოო არაა და შეიძლება შეიცვალოს იმ შემთხვევაში, თუ გამოჩნდება არჩევნებთან დაკავშირებული ახალი სუბიექტი.

საინფორმაციო გამოშვებების მონიტორინგის შედეგები არხების მიხედვით:


"25-ე არხი" (ქ. ბათუმი) - საინფორმაციო გამოშვებებში ყველაზე მეტი დრო ცენტრალურ საარჩევნო კომისიას (26 წთ.) და კოალიცია "ქართულ ოცნებას" (21 წთ.) დაეთმო. ადგილობრივი თვითმმართველობას წილად ხვდა გამუქების 7 წუთი, არჩევნების დამკვირვებლებს - 6 წუთი, ხოლო ერთიან ნაციონალურ მოძრაობას - 4 წუთი.



სუბიექტებზე სამივე ტონში საუბრობდნენ. თუმცა ნეიტრალური ტონი ბევრად სჭარბობდა პოზიტიურს და ნეგატიურს:



სუბიექტების გაშუქებისას ირიბი და პირდაპირი საუბრის მაჩვენებლები ხშირ შემთხვევებში თანაბარი იყო. თუმცა ცენტრალური საარჩევნო კომისიის და ადგილობრივი თვითმმართველობის გაშუქებისას ირიბი სჭარბობდა პირდაპირს.




საანგარიშო პერიოდის მთავარი მოვლენა 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები იყო, რომელიც ტელეკომპანია „25-ე არხმა“ აქტიურად გააშუქა. თუმცა, სიუჟეტები ძირითადად რეგიონში განვითარებულ მოვლენებს ეხებოდა, ქვეყნის მასშტაბით არჩევნების მიმდინარეობის შესახებ მასალა არ მომზადებულა. ჟურნალისტები დეტალურად

საუბრობდნენ აჭარის რეგიონის საარჩევნო უბნებზე არჩევნების მიმდინარეობაზე და იქ განვითარებულ სხვადასხვა პროცესებზე. მიმდინარე კვირის განმავლობაში მნიშვნელოვანი დრო დაეთმო დამკვირვებელთა მიერ არჩევნების დროს დაფიქსირებული დარღვევების გაშუქებას; ასევე ოპერატიულად გავრცელდა ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ წარმოდგენილი საპარლამენტო არჩევნების ოფიციალური შედეგები. აღსანიშნავია, რომ საინფორმაციო გამოშვებებში მთავარი კონკურენტი პოლიტიკური სუბიექტების გაშუქების დროს ბალანსი თითქმის ყოველთვის დაცული იყო.


თუმცა, ასევე უნდა აღინიშნოს, რომ არხმა არ გააშუქა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მიმართვა (არჩევნებში ერთიანი ნაციონალური მოძრაობის დამარცხების და ოპოზიციაში გადასვლის შესახებ), რომელიც თითქმის ყველა ტელეკომპანიის საინფორმაციო გამოშვების მთავარი მოვლენა იყო. ასევე არ გაშუქებულა კოალიცია "ქართული ოცნების" ლიდერის ბიძინა ივანიშვილის მიერ არჩევნების შემდეგ გაკეთებულ განცხადებები (გარდა ლაზიკის მშენებლობის შესახებ).

"რიონი" (ქ. ქუთაისი) - მონიტორინგის სუბიექტებიდან ყველაზე მეტი დრო, 32 წუთი კოალიცია "ქართულ ოცნებას" დაეთმო, ხოლო 30 წუთი - ცენტრალურ საარჩევნო კომისიას. გაშუქების 12 წუთი წილად ხვდა ერთიან ნაციონალურ მოძრაობას.




რეგიონალური ტელევიზიების ახალი ამბების მონიტორინგი

სუბიექტების გაშუქებისას სამივე ტონი გამოვლინდა, თუმცა მათზე ძირითადად ნეიტრალურ ტონში საუბრობდნენ:




სუბიექტების გაშუქებისას ირიბი და პირდაპირი საუბრის მაჩვენებლები თითქმის თანაბარი იყო:




საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანია "რიონი" საარჩევნო პროცესის გაშუქების ფართო არეალით გამოირჩეოდა. რეგიონში განვითარებულ მოვლენებთან ერთად შუქდებოდა მთლიანად ქვეყანაში მიმდინარე პროცესებიც. არჩევნების დღეს, 1 ოქტომბერს მომზადდა 43 წუთიანი სპეციალური გამოშვება, რომელიც მოსახლეობას ამომწურავ ინფორმაციას

აწვდიდა იმერეთის რეგიონის საარჩევნო უბნებზე განვითარებულ პროცესებთან დაკავშირებით. ჟურნალისტები ცდილობდნენ მიუკერძოებლად და დაბალანსებულად გაეშუქებინათ ყველა პროცესი. შესაბამისად, რადიკალური კვლევის შედეგებში ნეიტრალური ტონი სჭარბობს. უნდა აღინიშნოს, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიმართ დაფიქსირებული 20%-იანი ნეგატიური ტონი, ძირითადად საარჩევნო უბნებზე დაფიქსირებულ დარღვევების გაშუქებას უკავშირდება. არხმა, არჩევნების შედეგებიდან გამომდინარე, კოალიცია "ქართული ოცნებისა" და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის გარდა სხვა პოლიტიკურ სუბიექტებს მინიმალური დრო დაუთმო. აღსანიშნავია, რომ ზოგჯერ ჟურნალისტის ტექსტი ინტერვიუერისას იმეორებდა.


ქვემო ქართლის ტელე/რადიო კომპანია (ქ. რუსთავი) - საინფორმაციო გადაცემებში თანაბარი დრო (11-11 წუთი) დაეთმოთ კოალიცია "ქართულ ოცნებას", ერთიანი ნაციონალური მოძრაობას და ცენტრალურ საარჩევნო კომისიას. გაშუქების 5 წუთი წილად ხვდა ადგილობრივი თვითმმართველობას, ხოლო 5 წუთი - პრეზიდენტს.



სუბიექტებზე ძირითადად ნეიტრალურ და პოზიტიურ ტონებში საუბრობდნენ. მხოლოდ კოალიცია "ქართული ოცნების" გაშუქებისას გამოვლინდა ნეგატიური ტონი - (39%).




ირიბი გაშუქების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (91%) კოალიცია "ქართული ოცნების" შემთხვევაში დაფიქსირდა. ხოლო პრეზიდენტის გაშუქებისას პირდაპირი (69%) სჭარბობდა ირიბს (31%).




1-7 ოქტომბრის მანძილზე ქვემო ქართლის ტელე/რადიო კომპანია მონიტორინგის სუბიექტებს აქტიურად აშუქებდა. აღსანიშნავია, რომ გასულ საანგარიშო პერიოდებთან შედარებით კოალიცია „ქართული ოცნებას“ მეტი დრო დაეთმო. ასევე თვალშისაცემია ის, რომ საინფორმაციო გადაცემები არასრულადაა დაბალანსებული: მაგალითად, კოალიცია „ქართული ოცნების“ პირდაპირი გაშუქების პროცენტული მაჩვენებელი 9%, ერთიანი

ნაციონალური მოძრაობის კი - 57%. ამასთან, „ქართული ოცნება“ ერთადერთი სუბიექტია, რომელიც ნეგატიურ ტონში გაშუქდა.

"ოდიში" (ქ. ზუგდიდი) - საანგარიშო პერიოდში არხმა მხოლოდ სამი სუბიექტი გააშუქა: კოალიცია "ქართული ოცნება" (5 წთ.), ერთიანი ნაციონალური მოძრაობა (4 წთ.) და ცენტრალური საარჩევნო კომისია (3 წთ.).




სუბიექტების გაშუქებისას სამივე ტონი გამოვლინდა, თუმცა ერთიან ნაციონალურ მოძრაობაზე საუბრისას მხოლოდ პოზიტიური (31%) და ნეიტრალური (69%), ხოლო კოალიცია "ქართულ ოცნებაზე" საუბრისას მხოლოდ ნეიტრალური (62%) და ნეგატიური (38%).




სუბიექტების გაშუქებისას პირდაპირი - ირიბი საუბრის მაჩვენებლები თითქმის თანაბარი იყო.

საანაგრიშო კვირის განმავლობაში ტელეკომპანიამ ოთხი სიუჟეტი მოამზადა. სიუჟეტებში ძირითადი აქცენტი ზუგდიდში კვალიცია "ქართული ოცნების" აქციებზე გაკეთდა, სადაც არჩევნების დარღვევებით მიმდინარეობასა და შედეგების გაყალბებას აპროტესტებდნენ. ამის პარალელურად გაშუქდა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის დეპუტატობის გამარჯვებული კანდიდატის, როლანდ ახალაიას მხარდამჭერთა აქცია. სიუჟეტები ტენდენციური და დაუბალანსებელი იყო.


"მე-9 არხი" (ქ. ახალციხე) - საინფორმაციო გამოშვებებში ყველაზე მეტი დრო, 20 წუთი კვალიცია "ქართულ ოცნებას" დაეთმო, 19 წუთი - ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, 13 წუთი - ერთიან ნაციონალურ მოძრაობას.



სუბიექტების გაშუქებისას სამივე ტონი გამოვლინდა. თუმცა, ნეიტრალური ბევრად სჭარბობდა ნეგატიურსა და პოზიტიურს:




სუბიექტების გაშუქების ირიბი საუბრის მაჩვენებელი ხშირ შემთხვევებში მეტი იყო პირდაპირზე. თუმცა, ადგილობრივ თვითმმართველობაზე (გაშუქების 6 წუთი) საუბრისას ეს მახასიათებლები თითქმის თანაბარი იყო. ახალ მემარჯვენეებზე საუბრისას (გაშუქების 3 წუთი) კი პირდაპირი საუბარი (67%) მეტი იყო ირიბზე (33%).




ტელეკომპანია „მე-9 არხი“ არჩევნების დღეს და მის მომდევნო პერიოდს აქტიურად აშუქებდა. ამასთან, ჟურნალისტის ტექსტი მიუკერძოებელი იყო, სიუჟეტები კი - დაბალანსებული. ჟურნალისტი საკითხის ირგვლივ არსებულ განსხვავებულ შეხედულებებს წარმოაჩენდა და თითქმის თანაბარი დრო ეთმობოდა სიუჟეტის თემასთან დაკავშირებულ სუბიექტთა პოზიციების გაშუქებას.

განვილილი კვირის განმავლობაში დაფიქსირდა მცირე ხარვეზიც: 5 ოქტომბრის საინფორმაციო გამოშვების პირველ და მეორე სიუჟეტებში დავით ბაქრაძისა და ირაკლი ალასანიას ერთი და იგივე კომენტარებია წარმოდგენილი.


"თანამგზავი" (თელავი) - ტელეკომპანიამ ყველაზე მეტი დრო (23 წთ.) ცენტრალური საარჩევნო კომისიის გაშუქებას დაუთმო. 21 წუთი დაეთმო კოალიცია "ქართულ ოცნებას", 15 წუთი - ერთიანი ნაციონალურ მოძრაობას.



სუბიექტებზე ძირითადად ნეიტრალურ ტონში საუბრობდნენ, თუმცა დაფიქსირდა პოზიტიური და ნეგატიური გაშუქებაც:




სუბიექტების ირიბი გაშუქება სჭარბობდა პირდაპირს. მხოლოდ არჩევნების დამკვირვებლების შემთხვევაში პირდაპირი საუბარი (80%) მეტი იყო ირიბზე (20%):




საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანია "თანამგზავრის" საინფორმაციო გამოშვებების მთავარი თემა 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები იყო. კვირის განმავლობაში დეტალურად გაშუქდა რეგიონში არსებულ საარჩევნო უბნებზე შექმნილი ვითარება. 3 ოქტომბრის გამოშვებაში გავიდა გრაფიკული გამოსახულება, სადაც დეტალურად იყო ნაჩვენები ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ გვრცელებული არჩევნების წინასწარი შედეგები, მთელი საქართველოს მასშტაბით. "თანამგზავრის" სიუჟეტები დაბალანსებულია, არ გვხვდება ჟურნალისტის მხრიდან საკუთარი აზრის დაფიქსირების ფაქტები.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იყო შემთხვევები, როდესაც ჟურნალისტის ტექსტი რესპოდენტის ტექსტს იმეორებდა.


"თრიალეთი" (ქ. გორი) - საინფორმაციო გამოშვებებში ყველაზე მეტი დრო (29 წთ.) ცენტრალურ საარჩევნო კომისიას დაეთმო. გაშუქების 13 წუთი წილად ხვდა ერთიან ნაციონალურ მოძრაობას, 12 წუთი - მთავრობას, 11 წუთი კოალიცია "ქართულ ოცნებას".



სუბიექტებზე ძირითადად ნეიტრალურ და ნეგატიურ ტონებში საუბრობდნენ. ფაქტიურად არც ერთი სუბიექტის მიმართ არ ყოფილა პოზიტიურ ტონში საუბარი:




უმეტეს შემთხვევებში სუბიექტების გაშუქებისას ირიბი საუბარი ბევრად სჭარბობდა პირდაპირს. მთავრობის გაშუქების ასივე პროცენტი ირიბი იყო. ასევე მაღალი იყო ეს მაჩვენებელი ერთიანი ნაციონალური მოძრაობის (94%) და ცენტრალური საარჩევნო კომისიის (72%) შემთხვევებში. ყველაზე მაღალი პირდაპირი გაშუქება (დათმობილი დრო 9 წთ.) ჰქონდა არჩევნების დამკვირვებლებს (87%). კოლაიცია "ქართული ოცნების" გაშუქებისას თითქმის თანაბარი იყო ირიბი და პირდაპირი საუბრის მაჩვენებლები.




საანგარიშო კვირის საინფორმაციო გამოშვებებში შუქდებოდა რეგიონის სხვადასხვა საარჩევნო უბანზე არსებული სიტუაცია. არჩევნების დღეს ყველაზე დამაბული ვითარება ხაშურისა და კასპის საარჩევნო უბნებზე იყო (საარჩევნო უბანზე სპეცრაზმის მობილიზება, შეიარაღებული პირის ზეწოლა კომისიის წევრებზე, საარჩევნო ყუთის გატაცება). ამან მთავრობის გაშუქების 88%-იანი ნეგატიური ტონი გამოიწვია. ხოლო ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიმართ გამოვლენილი 45%-იანი ნეგატიური ტონი დამკვირვებლების და პოლიტიკური სუბიექტების მიერ საარჩევნო უბნებზე დარღვევების შესახებ მოწოდებული ინფორმაციის შედეგია. თუმცა იყო შემთხვევა, როცა ჟურნალისტმა (3 ოქტომბრის გამოშვება) ერთ-ერთ საარჩევნო უბანზე განვითარებული მოვლენების გამო მოქალაქეს, რომელიც არც თვითმხილველი იყო და არც საქმეში ჩახედულ პირს წარმოდგენდა, ჰკითხა: „რას ამბობენ, ვინ აურიო?" ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგჯერ ჟურნალისტის ტექსტი რესპოდენტის კომენტარს იმეორებდა.

"გურია" (ქ. ოზურგეთი) - საინფორმაციო გამოშვებებში დაახლოებით 10 წუთი დაეთმო ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, 3 წუთი - ერთიან ნაციონალურ მოძრაობას და 2 წუთი - კოალიცია "ქართულ ოცნებას". სხვა სუბიექტებზე საუბარი ფაქტიურად არ ყოფილა. სუბიექტებს ძირითადად ნეიტრალურ ტონში აშუქებდნენ. ხოლო ირიბი საუბარი ბევრად მეტი იყო პირდაპირზე. კვლევის ეს შედეგები თვისებრივი ანალიზის საშუალებას არ იძლევა.




"იმერვიზია" (ჭიათურა) - საანგარიშო პერიოდში არხმა დაახლოებით 20 წუთი დაუთმო კოალიცია "ქართულ ოცნებას", 5 წუთი - ხელისუფლებას და 2 წუთი - ცენტრალურ საარჩევნო კომისიას. მონიტორინგის სხვა სუბიექტები არ გაშუქებულან. კოალიცია "ქართული ოცნების" გაშუქების ასივე პროცენტი ნეიტრალური იყო. ასევე 100%-იანი ნეგატიური გაშუქება ჰქონდა ხელისუფლებას. კოალიცია "ქართული ოცნების" გაშუქებისას 98% პირდაპირი საუბარზე მოდიოდა.




საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ტელეკომპანია „იმერვიზიამ“ დროის 71% კოალიცია „ქართულ ოცნებას“ დაუთმო, ერთიან ნაციონალურ მოძრაობას კი - 1%. 25 წუთიან საინფორმაციო გამოშვებაში „ქართული ოცნების“ დეპუტატობის გამარჯვებული კანდიდატის, მალხაზ წერეთლის 20 წუთიანი კომენტარია ნაჩვენები. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ დარღვეულია ახალი ამბების ფორმატი.

"არგო" (ქ. ზესტაფონი) - ტელეკომპანიამ დაახლოებით 4 წუთი დაუთმო ცენტრალური საარჩევნო კომისიის გაშუქებას, 3 წუთი - ახალი მემარჯვენეების და 2 წუთი - კოალიცია "ქართული ოცნების". საინფორმაციო გამოშვებებში სხვა სუბიექტებზე საუბარი არ ყოფილა. გაშუქებულ სუბიექტებზე ძირითადად ნეიტრალურად საუბრობდნენ, ხოლო პირდაპირი გაშუქება ბევრად სჭარბობდა ირიბს.




საანგარიშო კვირაში ტელეკომპანია „არგო“ ნაკლებად აშუქებდა მონიტორინგის სუბიექტებს. არჩევნების დღიდან (1 ოქტომბერი) ერთი კვირის განმავლობაში დრო მხოლოდ მონიტორინგის ოთხ სუბიექტს დაეთმო. ამასთან, მოწოდებული ინფორმაცია ძირითადად ზედაპირულია: სიუჟეტებში არ არის ანალიზი, კრიტიკა, ან ფაქტების მრავალმხრივი გაშუქება.

"ბორჯომი (ქ. ბორჯომი) - საინფორმაციო გამოშვებებში ყველაზე მეტი დრო, დაახლოებით 8 წუთი, ცენტრალური საარჩევნო კომისიის გაშუქებას დაეთმო, 6 წუთი - არჩევნების დამკვირვებლებს. მონიტორინგის სხვა სუბიექტებზე საუბარი ფაქტიურად არ ყოფილა. ორივე გაშუქებულ სუბიექტზე ძირითადად ნეიტრალურ და პოზიტიურ ტონებში საუბრობდნენ. ცესკოს გაშუქებისას ირიბი (64%) საუბარი მეტი იყო პირდაპირზე (36%), ხოლო არჩევნების დამკვირვებლების გაშუქებისას - პირიქით.




საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანიამ 2 საინფორმაციო გამოშვება მოამზადა, ჯამში მათი ქრონომეტრჟი ოც წუთს არ აღემატებოდა. გადაცემებში საარჩევნო უბნებზე არსებული სიტუაცია იყო ნაჩვენები. ჟურნალისტები ძირითადად იმის შესახებ საუბრობდნენ, რომ არჩევნები მშვიდ და სტაბილურ ვითარებაში მიმდინარეობდა. ახალი ამბების გამოშვებაში პოლიტიკურ სუბიექტები ძირითადად ნეიტრალურ ტონში შუქდებოდნენ. საკუთარი პოზიციის გამოსახატავად მნიშვნელოვანი დრო დაეთმოთ არჩევნების დამკვირვებლებს და მოქალაქეებს. აღასანიშნავია, რომ არჩევნების დღეს მომზადებული სიუჟეტი 2 ოქტომბრის გამოშვებაშიც გამეორდა.

"მარნეული ტვ" (ქ. მარნეული) - ტელეკომპანიამ დაახლოებით 3-3 წუთი დაუთმო კოალიცია "ქართულ ოცნებას", ცენტრალურ საარჩევნო კომისიას და ადგილობრივ თვითმმართველობას. გაშუქებულ სუბიექტებზე სამივე ტონში საუბრობდნენ, თუმცა ძირითადად ნეიტრალურად, ხოლო პირდაპირი - ირიბი გაშუქების მაჩვენებლები თითქმის თანაბარი იყო. საანგარიშო პერიოდის მანძილზე დრო მხოლოდ სამ სუბიექტს დაეთმო, შესაბამისად თვისებრივი ანალიზისთვის საკმარისი მონაცემები არ გვაქვს.




"მე-12 არხი" (ქ. ბოლნისი) - ტელეკომპანიამ დაახლოებით 4 წუთი დაუთმო ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, 2 წუთი - კვალიცია "ქართულ ოცნებას". მონიტორინგის სხვა სუბიექტები არ გაშუქებულან. ცენტრალური საარჩევნო კომისია სამივე ტონში გაშუქდა: პოზიტიური (20%), ნეიტრალური (54%) , ნეგატიური (26%). გაშუქების 68 % ირიბი იყო.




ტელეკომპანია „მე -12 არხმა“ ქვეყანაში მიმდინარე საპარლამენტო არჩევნების შესახებ 2 სიუჟეტი მომზადა. ეს სიუჟეტები კვირის განმავლობაში რამდენჯერმე გამოვლიდა. მათში

გაშუქებული იყო კოალიცია "ქართული ოცნების" მიერ საოლქო საარჩევნო კომისიასთან გამართული აქცია; დიდი დრო დაეთმო ადგილობრივი მოსახლეობის გამოკითხვას. ქუჩის გამოკითხვაში ჟურნლისტი აქცენტს პრეზიდენტის მიერ გაკეთებულ განცხადებაზე (არჩევნებში ერთიანი ნაციონალური მოძრაობის დამარცხების აღიარება) აკეთებდა, მოსახლეობა კი კმაყოფილებას გამოთქვამდა პროცესების მშვიდობიანად დასრულების გამო. აგრეთვე მომზადდა სიუჟეტი (1,60 წუთი) რეგიონში გზების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესახებ, სადაც ადგილობრივი თითმმართველობის წარმომადგენლის და მოქალაქეების კომენტარები იყო წარმოდგენილი.


"გურჯაანი" (ქ. გურჯაანი) - საინფორმაციო გამოშვებებში ყველაზე მეტი დრო (19 წთ.) კოალიცია "ქართული ოცნებას" დაეთმო. 16 წუთი დაეთმო ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, 13 წუთი - ერთიანი ნაციონალური მოძრაობას, ხოლო 10 წუთი - არჩევნების დამკვირვებლებს.



სუბიექტებს სამივე ტონში აშუქებდნენ. ყველაზე მეტად ნეგატიურ ტონში ხელისუფლებაზე (გაშუქების 7 წუთი) საუბრობდნენ. ყველა სხვა შემთხვევაში ნეიტრალური გაშუქება სჭარბობდა პოზიტიურსა და ნეგატიურს. თუმცა შედარებით მაღალი ნეგატიური ტონი გამოვლინდა ცენტრალურ საარჩევნო კომისიის (31%), ადგილობრივი თვითმმართველობის (32%) და მთავრობის (25%) გაშუქებისას.



კოალიცია "ქართული ოცნების" და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის გაშუქებისას პირდაპირი და ირიბი საუბრის მაჩვენებლები თითქმის თანაბარი იყო:




ტელეკომპანია „გურჯაანი“ აქტიურად აშუქებდა არჩევნების დღეს (1 ოქტომბერი) და მის შემდგომ პერიოდს. ამასთან, სიუჟეტების უმეტესობა დაბალანსებული იყო, იმ კუთხით, რომ ჟურნალისტი განსხვავებული მოსაზრების მქონე სუბიექტების კომენტარებს აშუქებდა.


საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დაფიქრსირდა ისეთი შემთხვევაც, სადაც ჟურნალისტის ტექსტი სუბიექტური იყო. მაგალითად: 3 ოქტომბრის საინფორმაციო

გამოშვებაში ჟურნალისტი სუბიექტის კომენტარს ნეგატიურ შესავალს უკეთებს და ამბობს: „სამწუხაროდ, სოფლის რწმუნებულის კომენტარი ასეთია“. ამის შემდეგ რწმუნებული ადგილობრივი თვითმმართველობის ერთ-ერთ პროექტზე საუბრობს, თუმცა მისი განხორციელების კონკრეტულ ვადას ვერ ასახელებს. ჟურნალისტი კომენტარს შემდეგნაირად აფასებს: „ვფიქრობთ, კომენტარი ზედმეტია, თუმცა ერთს კი დავძენთ, სოფლის რწმუნებულს უფრო კონკრეტული პასუხის გაცემა უნდა შეეძლოს“. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ჟურნალისტის მხრიდან მსგავსი შეფასებება ფაქტების მიუკერძოებელ და ობიექტურ გამუქებას ხელს უშლის.

"ლტვ" (ქ. ლაგოდეხი) - ყველაზე მეტი დრო, 10 წუთი კოალიცია "ქართულ ოცნებას" დაეთმო, ხოლო 3-3 წუთი გადანაწილდა ცენტრალურ საარჩევნო კომისიასა და მთავრობაზე.




სუბიექტებზე ნეიტრალურ და ნეგატიურ ტონებში საუბრობდნენ. ცენტრალური საარჩევნო კომისიის გამუქებისას პოზიტიური ტონიც (25%) დაფიქსირდა:




სუბიექტებზე სხვები უფრო მეტს საუბრობდნენ. კოალიცია "ქართული ოცნების" შემთხვევაში კი პირდაპირი (44%) და ირიბი (56%) გაშუქება თითქმის თანაბარი იყო. მონიტორინგის სუბიექტებისთვის დათმობილი მცირე დროის გამო ცოტა რთულია თვისებრივი ანალიზის გაკეთება. საარჩევნო პროცესების შესახებ კვირის განმავლობაში 7 სიუჟეტი მომზადდა. ისინი ძირითადად რამდენიმე საარჩევნო უბნებზე განვითარებულ მოვლენებს ეხებოდა. ასევე მნიშვნელოვანი დრო დაეთმო კოალიცია "ქართული ოცნების" მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ ლუკა კურტანიძესთან დაკავშირებული ინციდენტის (არეულობა საარჩევნო უბანზე, კოალიცია "ქართული ოცნების" წევრებმა მოხუცი ქალბატონი ცემეს) დეტალების გაშუქებას. მიუხედავად იმისა, რომ ორივე მხარეს საკუთარი აზრის დაფიქსირების საშუალება თანაბრად ეძლეოდა, სიუჟეტები მაინც მიკერძოებულობის და დაუბალანსებლობის შთაბეჭდილებას ტოვებს.


"შეგა ტვ" (ქ. ხონი) - არხმა ყველაზე მეტი დრო, 10 წუთი, კოალიცია "ქართულ ოცნებას" დაუთმო, 8 წუთი - ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, 4 წუთი - ერთიან ნაციონალურ მოძრაობას.



სუბიექტებზე ძირითადად ნეიტრალურ ტონში საუბრობდნენ, თუმცა დაფიქსირდა ოიზიტიურ და ნეგატიურ ტონებში გაშუქებაც:




კვალიცია "ქართული ოცნების" გაშუქების 72 % ირიბ საუბარზე მოდიოდა. სხვა სუბიექტების შემთხვევებში ეს მაჩვენებლები თითქმის თანაბარი იყო.




ტელეკომპანია „მეგა ტვ-ის“ საინფორმაციო გამოშვებების ძირითადი თემა 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები იყო. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში არხმა სამი საინფორმაციო გამოშვება მოამზადა. კოალიცია "ქართული ოცნების" გაშუქების დროს, ზოგიერთ შემთხვევაში, ტენდენციური დამოკიდებულება შეინიშნებოდა. მაგალითად, 5 ოქტომბრის გამოშვებაში ჟურნალისტი რესპოდენტს ეკითხება: „ანუ სამომავლოდ ქვეყანაში არაფერი შეიცვლება?“

საანგარიშო კვირის განმავლობაში სხვადასხვა რეგიონებში შექმნილი ვითარების გასაშუქებლად ტელეკომპანია საინფორმაციო სააგენტო "ინფო-9"-ის მასალებს იყენებდა.


"ზარი" (სამტრედია) - ყველაზე მეტი დრო, 13 წუთი ცენტრალურ საარჩევნო კომისიას დაეთმო. გაშუქების 4 წუთი წილად ხვდა კოალიცია "ქართულ ოცნებას", 2 წუთი - არჩევნების დამკვირვებლებს. მონიტორინგის სხვა სუბიექტებზე საუბარი ფაქტიურად არ ყოფილა. სუბიექტებზე ძირითადად ნეიტრალურ ტონში საუბრობდნენ, მხოლოდ კოალიცია "ქართული ოცნების" გაშუქებისას გამოვლინდა ნეგატიური (19%) ტონი. კოალიციის შემთხვევაში, სხვებთან შედარებით, დაბალი იყო პირდაპირი გაშუქების (43%) მახასიათებელიც. კვლევის შედეგები თვისებრივი ანალიზის საშუალებას არ იძლევა.




"მე-9 ტალღა" (ფოთი) - მონიტორინგის სუბიექტებიდან ყველაზე მეტი დრო, 16 წუთი, კალიცია "ქართულ ოცნებას" დაეთმო. 12 წუთი წილად ხვდა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, 10 წუთი - ერთიან ნაციონალურ მოძრაობას.



სუბიექტებს ძირითადად ნეიტრალურად აშუქებდნენ, თუმცა გამოვლინდა ნეგატიური და პოზიტიური ტონებიც:



სუბიექტებზე საუბრისას ადგილობრივი თვითმმართველობის შემთხვევაში (გაშუქების 3 წუთი) დაფიქსირდა ირიბი საუბრის მაღალი მაჩვენებელი (89%). ირიბი საუბარი პირდაპირს სჭარბობდა ცენტრალურ საარჩევნო კომისიის გაშუქების დროსაც. დანარჩენი სუბიექტების გაშუქებისას ეს მაჩვენებლები თითქმის თანაბარი იყო.



რეგიონალური ტელევიზიების ახალი ამბების მონიტორინგი

საანგარიშო კვირის განმავლობაში „მეცხრე ტალღის“ მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში დრო ძირითადად 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებს დაეთმო. დიდი დრო დაეთმო ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, კოლიაცია "ქართული ოცნებასა" და ერთიან ნაციონალურ მოძრაობას. მათ თითქმის თანაბრად ეძლეოდათ პირდაპირი საუბრის საშუალება. არჩევნებთან დაკავშირებული მოვლენები მიუკერძოებლად და დაბალანსებულად შეუქდებოდა.

მომავალში განსახორციელებელი სამუშაო:

8-14 ოქტომბრის მანძილზე განხორციელდება რეგიონალური მაუწყებლების მონიტორინგის მეათე ეტაპი.



ანგარიში შექმნილია ამერიკელი ხალხის მხარდაჭერით აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს საშუალებით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია "ინტერნიუსი-საქართველო" და იგი არ ასახავს საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის, აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ან აშშ-ს მთავრობის შეხედულებებს.